

## 10 წელი ბუქარესტის სამიტის შემდეგ რატომ უნდა გააორმაგოს ნატო-მ ფსონი საქართველოზე

*ანა ანდლულაძე, ამანდა პოლი*

2018 წელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წელია: კერძოდ, ქვეყანა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამასთან, 10 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომიდან (2008 წლის აგვისტო) და ბუქარესტის სამიტის შემდეგ, სადაც ქვეყანას ნატო-ს გადამწყვეტილების მიმღებთა მაგიდასთან ადგილს დაჰპირდნენ.

ბოლო ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაღრმავდა ნატო-საქართველოს ურთიერთობები. ქვეყანა ამჟამად არაერთ სფეროში აკმაყოფილებს ნატო-ს სტანდარტებს. კერძოდ, საქართველომ მოახდინა საკუთარი შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, გაიზარდა ფუნქციონალური თავსებადობა ქართულ ჯარსა და ნატო-ს წევრი ქვეყნების არმიებს შორის. **საქართველომ ნატო-ს საერთაშორისო მისიებში არაერთ წევრ სახელმწიფოზე მეტი წვლილი შეიტანა. ამასთან, იგი ალიანსის თავდაცვითი ხარჯების სტანდარტსაც აკმაყოფილებს.** საქართველომ განახორციელა რეფორმები დემოკრატიის განსამტკიცებლად, კორუფციის აღმოსაფხვრელად და სამხედრო სფეროზე სამოქალაქო კონტროლის დასამყარებლად.

ნატო-მ 2008 წელს საქართველოსთვის მიცემული დაპირება არაერთხელ დაადასტურა, თუმცა, კვლავ მიუწვდომლად რჩება “წევრობის სამოქმედო გეგმა” (MAP), მიუხედავად იმისა, რომ როგორც მინიმუმ, საქართველო ისეთივე მზადყოფნაშია, როგორც მზადყოფნაშიც იყო მონტენეგრო 2017 წელს, როდესაც იგი ალიანსში გაწევრიანდა. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის გაჭიანურების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ალიანსის წევრების მღელვარება მოსკოვის შესაძლო რეაქციების გამო. რუსეთის სამხედრო ავანტიურამ საქართველოსა და უკრაინაში კიდევ უფრო გაამძაფრა შფოთვა აღმოსავლეთით ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებით.

**საქართველო ნატო-ს მნიშვნელოვანი მოკავშირე გახდა. მისი ურთიერთობა ალიანსთან მნიშვნელოვნად აჭარბებს MAP-ის ჩარჩოებს.** მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ში გაწევრიანებას მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს მხარს (65%)<sup>1</sup>, არსებობს საშიშროება იმისა, რომ მხარდაჭერამ იკლოს, თუ საქართველოს ნატო-ს მოსაცდელ ოთახში კიდევ დიდხანს მოუწევს ყოფნა. ამან შესაძლოა გაამყაროს რუსეთის ნარატივი იმის თაობაზე, რომ დასავლეთს საქართველო არ სჭირდება და დააზიანოს რეფორმების სწრაფად პროგრესირებადი პროცესი, რომლის მამოძრავებელი ძალაც ევრო-ანტილანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივაა.

ნატო-ს ბიუსელის სამიტი, რომელიც 2018 წლის 11-12 ივლისს გაიმართება, ალიანსისთვის ახალ შესაძლებლობას წარმოადგენს. ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მიმართ საქართველოს ერთგულების გათვალისწინებით, ნატოს ინტერესშია თბილისთან კავშირების გამყარება. საქართველო, როგორც საიმედო პარტნიორი, რომელთანაც ნატო-ს საერთო ინტერესები და ფასეულობები აკავშირებს, დასავლეთს სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიულ დასაყრდენს სთავაზობს. ალიანსმა კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს საქართველოს წევრობის მიმართ მხარდაჭერა და ხაზგასმით აღნიშნოს, რომ არცერთ მესამე ქვეყანას არ აქვს ვეტოს უფლება ნატოს გაფართოებაზე. ალიანსმა კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს საქართველოსთან პრაქტიკული თანამშრომლობა და გააძლიეროს ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობები. ნატო-ს მიერ მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დადასტურება გაფანტავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს, განამტკიცებს რეფორმების ძალისხმევასა და ქვეყანას კიდევ უფრო დააახლოვებს ალიანსთან.

<sup>1</sup> CRRC საქართველო-ს მიერ NDI-ის დაკვეთით 2018 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

## საქართველოს ევრო-ატლანტიკური არჩევანი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში (NACC) გაწევრიანდა და ჩაერთო პროგრამაში “პარტნიორობა მშვიდობისთვის”. ქართველებს, რომელთა ევროპული იდენტობაც საუკუნეებს ითვლის, მიაჩნიათ, რომ მათი ადგილი ტრანს-ატლანტიკურ ოჯახშია, ხოლო ნატოს წევრობა მათთვის ის ერთადერთი არჩევანია, რომელიც ევროპულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ საქართველომ, რომელიც გეოგრაფიულად სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს, საკუთარი ტერიტორია ნატო-ს შესთავაზა ავღანეთში ძალების ტრანზიტისთვის. ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებასთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა 2003 წელს, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში ახალგაზრდა პროდასავლელი რეფორმატორები მოვიდნენ. დღეს-დღეობით საქართველო ევროპისკენ მიმავალი კასპიის ზღვის ჰიდროკარბონებისთვის მნიშვნელოვან სატრანზიტო გზას წარმოადგენს. მიუხედავად გარკვეული გამოწვევებისა, რომელთა შორის არის სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიის განსამტკიცებლად, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს საიმედო მოკავშირედ და დემოკრატიის შექმნად მიიჩნევდა. იგი მტკიცედ უჭერდა მხარს ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფებებს და 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსს თბილისისათვის MAP-ის მინიჭებისკენ მოუწოდებდა. მის ენთუზიაზმს არ იზიარებდა ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მათ შორის საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც თვლიდნენ რომ საქართველო არ იყო მზად MAP-ის მისაღებად, თუმცა, აქ გადამწყვეტ როლს რუსეთის ფაქტორი თამაშობდა. მოსკოვი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას. სამიტის დეკლარაციაში საქართველოსთვის MAP-ი არ შეუთავაზებიათ, თუმცა, მას ნატო-ში გაწევრიანებას დაჰპირდნენ.

**ნატო-ში საბოლოო გაწევრიანების დაპირებამ კონკრეტული ვადების გარეშე მოსკოვს შეუქმნა ყველანაირი ინცენტივი იმისთვის, რომ ეზრუნა, საქართველო მუდმივად სუსტი და არა-სტაბილური ყოფილიყო. შესაბამისად, ვერასოდეს გამხდარიყო ნატო-ს წევრობის სრულფასოვანი კანდიდატი. ოთხი თვის შემდეგ რუსეთი საქართველოში შეიჭრა. რუსი ჯარისკაცები თბილისის საზღვრებს რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ. ომს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფება არ შეუცვლია, თუმცა, თავად ალიანსი ომის შემდეგ უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდება აღნიშნულ საკითხს. მღელვარებამ კიდევ უფრო იმატა 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსირებისა და აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის შემდეგ. საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას ეფექტური რეაქცია არ მოჰყოლია, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა რუსეთის თავდაჭერებულობა უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით.**

2008 წლის შემდგომ ჩატარებული ყოველი მომდევნო სამიტის დეკლარაციაში ნატო განმეორებით ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მიმართ, ხოლო საქართველო ძალისხმევას არ იშურებს, რათა ალიანსს დაანახოს, რომ მას შეუძლია შეიტანოს წვლილი ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში.

## გზა ნატო-სკენ

გარდა იმისა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ნატო-ს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და თავდაცვითი შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, საქართველომ ცალმხრივად დადო პირობა ძალის არ-გამოყენების თაობაზე მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაღრმავდა, შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია და დაიწყო წლიური ევროპული პროგრამის (ANP) ფარგლებში თანამშრომლობა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პოლიტიკის იმ მიმართულებებსა და რეფორმებს, რომელიც ნატო-ში გაწევრიანებისთვის არის პრიორიტეტული. პრაქტიკულ სამხედრო თანამშრომლობას ყველაზე დიდი ბიძგი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსირებამ მისცა. ევროპული უსაფრთხოების პერსპექტივიდან, მეზობელი ქვეყნების გამძლეობის განმტკიცება, რათა მათ რუსეთიდან მომდინარე ძალადობას გაუწიონ წინააღმდეგობა, უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა.

2014 წელს კარდიფის სამიტზე ქვეყანამ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) მიიღო, რომლის მიზანია საქართველოს სამხედრო შესაძლებლობის განმტკიცება, მათ შორის მისი ტერი-

ტორიული დაცვის შესაძლებლობებისა. SNGP-ის ფარგლებში ნატო-ს წევრი 26 ქვეყნის წარმომადგენელი მაღალი დონის ექსპერტები საქართველოში სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებს ტრენინგითა და კონსულტაციებით უზრუნველყოფენ. საქართველო აგრეთვე გახდა ერთ-ერთი “გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი” (EOP). აღნიშნული ფორმატი ითვალისწინებს ალიანსის წევრთა ყველაწარმოადგენელი პრივილეგიის მიღებას, კოლექტიური თავდაცვის გარდა.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატო-ს ოპერაციებში. 2012 წლიდან ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ავღანეთში “საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალები-სა” (ISAF) და “მტკიცე მხარდაჭერის მისიის” (RSM) ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორია. საქართველო ასევე ნატოს არა-წევრი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში შედის.

ნატო-ს პოზიციები საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცა 2015 წელს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნამ. ერთობლივი სამხედრო წვრთნები ქართული საზოგადოებისთვის იმედისმომცემი აღმოჩნდა.

საქართველომ განამტკიცა ორმხრივი თანამშრომლობებიც, განსაკუთრებით კი ვაშინგტონთან. კერძოდ, “საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა” (GDRP) მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის გაუმჯობესებას, ხოლო 2016 წლის მემორანდუმმა “თავდაცვისა და უსაფრთხოების პარტნიორობის გაღრმავების შესახებ” გზა გაუხსნა სამხედრო დახმარებასა და მაღალი დონის თავდაცვითი შეიარაღების შეძენას. შედეგად, საქართველომ 2018 წლის აპრილში შეიძინა 410 Javelin-ის ტიპის ანტი-სარაკეტო სისტემა და 72 გამშვები მოწყობილობა. აშშ-ს არმია უახლოეს მომავალში გახსნის “ერთობლივ მულტინაციონალური მზადყოფნის ცენტრს”, სადაც ჯარისკაცები მომზადდებიან გაივლიან სახმელეთო საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება მეორე ასეთი ცენტრი (გერმანიის შემდეგ), რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარი საზღვრების გარეთ გახსნის.

**ბუქარესტის სამიტიდან ათი წლის შემდეგ საქართველოს შესრულებული აქვს ყველაფერი და იმაზე მეტიც კი, რაც მას ნატო-სგან მოეთხოვებოდა. მიუხედავად ამისა, გეოგრაფიული მდებარეობა კვლავ რჩება საქართველოს აქილევსის ქუსლად. ნატო-ში არსებულ წინააღმდეგობას არაფერი აქვს საერთო ალიანსში განწევრიანებისთვის ქვეყნის მზაობასთან, არამედ, იგი თავიდან ბოლომდე რუსეთის სავარაუდო რეაქციას უკავშირდება. აღნიშნული მიდგომა მოსკოვს აძლევს საშუალებას, სუვერენული ქვეყნის გადაწყვეტილებას დაადოს ვეტო და ნატო-ს “ღია კარის პოლიტიკის” მიმართ ნდობას ამცირებს.**

## **“ღია კარის” შერჩევითი პოლიტიკა?**

2017 წელს ნატო-ში მონტენეგროს გაწევრიანებით ალიანსის “ღია კარის პოლიტიკა” დადასტურდა. მართალია ეს ფაქტი მიუთითებს ალიანსის ღიაობას გაფართოებისადმი, მაგრამ, ამავდროულად, მის მიკერძოებულ მიდგომასაც გამოხატავს, ვინაიდან ზოგიერთ სფეროში მონტენეგროს მზაობა ჩამოუვარდება საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, მაგ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, ნატომ მონტენეგრო თავის რიგებში მაინც მიიღო. ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია გადამწყვეტი აღმოჩნდა რეგიონში ომის თავიდან ასაცილებლად და შესაბამისად, ევროპის უსაფრთხოების დასაცავად.

საქართველოს შემთხვევაში საქმე უფრო რთულად არის: გარდა იმისა, რომ ქვეყანა რუსეთს ესაზღვრება და ტერიტორიული კონფლიქტები გააჩნია, ამავდროულად, ნატო-ს პოლიტიკის თანახმად, ტერიტორიული დავების მოგვარება ახალი წევრის მდგრადობის შეფასების პროცესში ერთ-ერთი ფაქტორია და არა წინაპირობა. რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი, სადაც რუსული სამხედრო ძალა ფართო მასშტაბით არის წარმოდგენილი, კრემლს საქართველოს ტერიტორიაზე აძლევს არასტაბილურობის შექმნის შესაძლებლობასა და აბრკოლებს კონფლიქტების მოგვარების კუთხით პროგრესის მიღწევას პროცესს. თუმცა, ცოტა ხნის წინ ლუკ კოფის<sup>2</sup> მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს ნატოში ინტეგრაცია შესაძლებელია ისე, რომ ალიანსის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს წევრი ქვეყნის უსაფრთხოებას, არ გავრცელდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე.

<sup>2</sup> Luke Coffey, NATO Membership for Georgia: In US and European Interest, The Heritage Foundation, 2018.

## მცოცავი ანექსია

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, საქართველოს მიერ თავდაცვითი შესაძლებლობების გააუმჯობესების პარალელურად, რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამხედრო ძალების კონსოლიდაციას ახდენს. ორივე რეგიონს, რომელთაც ოფიციალური მოსკოვი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს, რუსეთთან გაფორმებული აქვს ე.წ. უსაფრთხოების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მათი ჯარები რუსეთის არმიის შემადგენლობაში შედის. ამასთან, რუსეთი აგრძელებს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის არსებული ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გადაწვევას. ამ ე.წ. “ბორდერიზაციის” პროცესის შედეგად, საქართველო კარგავს კიდევ უფრო მეტ ტერიტორიას, ხოლო არაერთი რეგიონი მოქალაქე - კუთვნილ სახლ-კარს. საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები ნათლად ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის სიმძიმეს.

რუსეთი სრულად არ ახორციელებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 2008 წელს ხელმოწერილ ექვსპუნქტიანი შეთანხმების პირობებს. ასევე, რუსეთი ევროკავშირის სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიას (EUMM) არ აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის საშუალებასა და ბლოკავს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას.

ამასთან, რუსეთი საქართველოზე შეტევას აქტიურად ახორციელებს რბილი ძალის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, რუსეთი ამ მხარდაჭერას ჰიბრიდული საომარი მოქმედებების საშუალებით უთხრის ძირს, მათ შორის საქართველოს მიერ MAP-ის არქონაზე აპელირებით.

## პერსპექტივები - რთულად გასავლელი გზა

**საქართველომ დაამტკიცა, რომ იგი საიმედო ევრო-ატლანტიკური პარტნიორია. ნატო-ს ყველა წევრი ქვეყანა თანხმდება, რომ ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რათა ალიანსის მიმართ თავდადება ეჩვენებინა და წევრობისთვის მომზადებულიყო.**

ნატო აგრძელებს ალიანსში საქართველოს განწევრიანების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვას, თუმცა, ფართო კონენსუსი ამ თემასთან დაკავშირებით არ არის მიღწეული, რისი ძირითადი მიზეზიც რუსეთის ფაქტორია. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ალიანსში საქართველოს განწევრიანებას უჭერენ მხარს - მაგ. ბალტიისპირეთისა და ვიშეგრადის ქვეყნები - რთული იქნება, დაარწმუნონ სკეპტიკურად განწყობილი სახელმწიფოები. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ადასტურებს საქართველოს მისწრაფებების მიმართ მხარდაჭერას, ეს საკითხი აშშ-ს პრეზიდენტისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია. აშშ-სა და ევროპულ პარტნიორებს შორის სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ვაჭრობასთან დაკავშირებული არსებული დაძაბულობა სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს.

მომავალში არც რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივა ჩანს. აღნიშნულ კონტექსტში, ნატო-მ წინასწარი შემაკავებელი ზომები კიდევ უფრო განამტკიცა აღმოსავლეთ ფრონტზე, მათ შორის ბალტიისპირეთში, რომელიც რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ საფრთხის მოლოდინშია. ამავდროულად, ნატომ შემდგომ გაფართოებზე უარი არ უნდა თქვას. არსებულ რეალობაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა ნატო-ს წევრ სახელმწიფოს ომი გამოუცხადოს. ნაცვლად ამისა, რუსეთი გააქტიურებს აღნიშნულ ქვეყნებში დესტაბილიზაციის გამომწვევ ძალისხმევას, კიბერ-თავდასხმებისა და დაბალ დონეზე დივერსიული საქმიანობის გზით.

## საქართველოზე ფსონის გაორმაგება

რუსეთის აგრესიულმა რევიზიონიზმმა შავი ზღვის რეგიონში და ძალაუფლების დემონსტრირებამ ახლო აღმოსავლეთში, შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა გაზარდა. საქართველოს პრო-დასავლური პოლიტიკისა და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მიმართ ერთგულების გათვალისწინებით, ნატომ საქართველოზე ფსონი უნდა გააორმაგოს და გაზარდოს მხარდაჭერა მდგრადობისა და ტერიტორიული თავდაცვის კიდევ უფრო განსამტკიცებლად. ბრიუსელის სამიტი პოზიტიური გზავნილის მიწოდების შესაძლებლობას წარმოადგენს.

პირველ რიგში, ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრები, რომელიც ამჟამად სამიტების დროს

მინისტრების დონეზე იმართება, მნიშვნელოვანია, გაიმართოს სახელმწიფოს მეთაურების დონეზე, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაშია. სამიტის დეკლარაციაში:

- მტკიცედ უნდა აღიაროს საქართველოს მიერ ნატო-ს “ღია კარის პოლიტიკის” კონტექსტში განხორციელებული პროგრესი;
- კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა;
- კიდევ ერთხელ უნდა გაიმეოროს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მიუღებელია;
- მოუწოდოს მოსკოვს 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული მოვალეობების სრულად შესრულებისკენ;
- ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ნატო არ აღიარებს გავლენის სფეროებსა და რუსეთის ძალისხმევას, ევროპაში გაავლოს ახალი წითელი ხაზი.

ამასთან, მნიშვნელოვანია პრაქტიკული თანამშრომლობის ახალი სფეროების შეთავაზება, განსაკუთრებით შემდეგი მიმართულებებით:

- **შავი ზღვის რეგიონი:** შავ ზღვაზე რუსეთი საკუთარ სამხედრო პოზიციებს სულ უფრო და უფრო აძლიერებს, მაშინ როდესაც ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული რეგიონისა და მისი უსაფრთხოების სტრატეგიული მნიშვნელობა. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რუმინეთში სამხედრო მისიის Tailored Forward Presence და “მრავალეროვანი ბრიგადის” (Multinational Framework Brigade) ჩამოყალიბებაზე, რაც მნიშვნელოვან პირველ ნაბიჯს წარმოადგენს; თუმცა, ნატო-მ შავ ზღვასთან დაკავშირებით ამბიციური გეგმა უნდა შეიმუშაოს, არა მხოლოდ ნატო-ს რეგიონული მოკავშირეების ჩართულობით, არამედ, ალიანსში გაწევრიანების მისწრაფების მქონე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ნატო-მ საქართველოს შესაძლებლობა მისცეს ნებისმიერ ახალ ინიციატივაში ჩართულობისა და მათ შორის, შავი ზღვის საჰაერო პატრულირების მისიაში (მსგავსად ბალტიისპირეთის საჰაერო პოლიციის მისიისა), რომლის ინიცირებაც შესაძლოა მოხდეს თურქეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის მიერ. ასევე, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის მისიებში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველოს ჩართულობა ნატო-ევროკავშირის იმ ახალ ინიციატივებში, რომელიც შავ ზღვას უკავშირდება.
- **ჭიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება:** მიუხედავად იმისა რომ სტრატეგიული კომუნიკაცია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის შემადგენელი ნაწილია, მნიშვნელოვანია, სოციალური მედიის საშუალებით წარმოებულ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციის გამპანიებთან გასამკლავებლად შესაბამისი ძალისხმევის გააქტიურება. ასევე, მნიშვნელოვანია, კიბერ-უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განმტკიცება. ამ კუთხით გადადგმული ეფექტური ნაბიჯი იქნება საქართველოში “ნატოს შავი ზღვის სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის” (Black Sea NATO Centre of Excellence) შექმნა, რომელიც მიზნად დაისახავს როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რეგიონში კიბერ-უსაფრთხოების კუთხით მდგრადობის გაუმჯობესებას.
- **თავდაცვის შესაძლებლობის გაზრდა:** ნატო-მ საქართველოს ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობები უნდა გააფართოვოს ჯარის ოპერატიულობის გაუმჯობესების გზით, თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობის შეძენაში დახმარებითა და ერთობლივი სამხედრო წვრთნების გაზრდით. პარტნიორობა კვლავ უნდა ემყარებოდეს კონცეფციას “მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში.” აღნიშნული შესაძლოა ასევე მოიცავდეს ქვეყნის უზრუნველყოფას ხომალდსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის იარაღებით და ასევე, საქართველოს საზღვაო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას.
- **“The Enhanced Forward Presence”:** იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი სამხედროები წარმატებით მსახურობენ ნატოს სამხედროების ძალების მხარდამხარ, ავღანეთსა და სხვა ადგილებში, მნიშვნელოვანია საქართველოს ნატო-ს მხრიდან მიეცეს შესაძლებლობა რომ გახდეს პოლონეთში დაფუძნებული მრავალეროვანი ბატალიონის მონაწილე.

ვინაიდან საქართველო უკვე აკმაყოფილებს ნატო-ს სტანდარტებს, ნატო-საქართველოს ურთიერთობა MAP-ის გარეშე უნდა გაგრძელდეს. MAP-ის საკითხი დიდწილად პოლიტიზირებულია და შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივ დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერაზე

პირიქით, უარყოფითი გავლენაც კი აქვს. როგორც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, ისე, წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობისა და წევრობისათვის მზადების "გზამკვლევს". შესაბამისად, ორივე მათგანი აღიარებული უნდა იქნას ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის ძირითად ინსტრუმენტებად.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამაც გადადგას გარკვეული ნაბიჯები:

- პირველ რიგში, საქართველომ უნდა გააგრძელოს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი-სა და წლიური ეროვნული პროგრამის განხორციელება. მნიშვნელოვანია, შიდა უსაფრთხოების კოორდინაციის გაძლიერება. ამასთან, პრიორიტეტად უნდა იქნას მიჩნეული სტრატეგიული კომუნიკაციის კოორდინაციის გაძლიერება და ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება.
- მეორე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გააძლიეროს თანამშრომლობა ნატო-ს ევროპელ წევრებთან, განსაკუთრებით გერმანიასა და საფრანგეთთან, რათა განამტკიცოს საკუთარი იმიჯი, როგორც საიმედო პარტნიორისა და ამ გზით გააძლიეროს ალიანსში საქართველოს განწევრიანების მიმართ მხარდაჭერა.
- მესამე, მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მოსახლეობასთან ჩართულობის ძალისხმევა. 2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამშვიდობო ინიციატივა - "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ", რომლის მიზანია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. კონკრეტულად, გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო შესაძლებლობებსა და ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სიკეთეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სეპარატისტულმა მთავრობებმა აღნიშნულ ინიციატივაზე უარი განაცხადეს, თუმცა, საქართველოს მზაობა კავშირების აღდგენასთან დაკავშირებით პოზიტიური ნაბიჯია და თბილისმა ამ მიმართულებით შეუპოვრად უნდა გააგრძელოს მუშაობა.

## საქართველოს მოთმინება დასჭირდება

ნატო-ს წევრთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, რუსეთის მიმართ ძლიერი სტრატეგიის ნაკლებობა და მზარდი ტრანსატლანტიკური დაძაბულობა ართულებს საქართველოს ახლო მომავალში ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას. საქართველომ სტრატეგიული მოთმინება და შეუპოვრობა უნდა გამოიჩინოს, მაქსიმალურად გამოიყენოს ნატო-ს მიერ წარმოდგენილი ყველა ინსტრუმენტი და მოითხოვოს მეტი ალიანსისგან. შესაბამისად, ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება გამოიწვევს საქართველოს სამხედრო ძალისა ტრანსფორმაციასა და განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვით მდგრადობას. ამრიგად, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ნატო-ს შემადგენელი ნაწილი გახდება.

**ამავდროულად, ნატო-ს უნდა ესმოდეს, რომ მისი ამჟამინდელი პოლიტიკა, რომელიც საქართველოს გაურკვევლობაში ტოვებს, ძირს უთხრის ალიანსის მიმართ ნდობასა და ამყარებს რუსულ ნარატივს, იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთს საქართველო არ სჭირდება. აღნიშნული ხელს უწყობს მოსკოვის მიზნების განხორციელებას ლიბერალური ევრო-ატლანტიკური ღირებულებების დისკრედიტაციისა და გავლენის სპეციალური ზონების შექმნასთან დაკავშირებით.**

ბუნდოვანი სიტუაცია რუსეთს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო მეტად შეეწინააღმდეგოს დასავლეთს, რაც საბოლოოდ არასტაბილურობის შექმნას უწყობს ხელს და უარყოფითად აისახება ნატო-ს მიერ ცივი ომის შემდეგ დადებულ პირობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში არსებული ქვეყნები დაცული იქნებიან რუსეთის განახლებული აგრესიისგან.

**2017 წლის სექტემბერში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ალიანსის ერთგულება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიზანთან დაკავშირებით. დროა, ნატო-მ დაამტკიცოს, რომ ეს არ არის მხოლოდ ცარიელი განცხადება.**